

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების მესაკუთრეს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)


ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 29 სექტემბერი


თბილისი, საქართველო

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალემა ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)



ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 29 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	47,077	47,089
საინვესტიციო ქონება	8 (a)	1,119	1,149
გრძელვადიანი აქტივები		48,196	48,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	14,986	17,738
სხვა აქტივები		822	582
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	34,306	25,654
მოკლევადიანი აქტივები		50,114	43,974
სულ აქტივები		98,310	92,212
კაპიტალი	11		
საწესდებო კაპიტალი		67,289	67,280
მესაკუთრის არაფულადი შენატანების/განაწილებების რეზერვი		5,030	5,030
გაუნაწილებელი მოგება		6,871	5,008
სულ კაპიტალი		79,190	77,318
ვალდებულებები			
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	5 (a)	2,358	2,600
სავაჭრო ვალდებულებები		16,762	12,294
მოკლევადიანი ვალდებულებები		19,120	14,894
სულ ვალდებულებები		19,120	14,894
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		98,310	92,212


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გიორგი ჯინჯოლავა
გენერალური დირექტორი

თიკო გონაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	47,077	47,089
საინვესტიციო ქონება	8 (a)	1,119	1,149
გრძელვადიანი აქტივები		48,196	48,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	14,986	17,738
სხვა აქტივები		822	582
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	34,306	25,654
მოკლევადიანი აქტივები		50,114	43,974
სულ აქტივები		98,310	92,212
კაპიტალი	11		
საწესდებო კაპიტალი		67,289	67,280
მესაკუთრის არაფულადი შენატანების/განაწილებების რეზერვი		5,030	5,030
გაუნაწილებელი მოგება		6,871	5,008
სულ კაპიტალი		79,190	77,318
ვალდებულებები			
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	5 (a)	2,358	2,600
სავაჭრო ვალდებულებები		16,762	12,294
მოკლევადიანი ვალდებულებები		19,120	14,894
სულ ვალდებულებები		19,120	14,894
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		98,310	92,212

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გიორგი გინჯოლავა
გენერალური დირექტორი


თიკო გონაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

'000 GEL	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	144,009	152,054
საოპერაციო ხარჯები	6	(130,542)	(140,175)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(5,541)	(5,287)
ცვეთა		(2,455)	(2,744)
სხვა შემოსავალი		219	257
სხვა ხარჯები	7	(1,837)	(1,545)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)	13(b)(ii)	223	(1,978)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		4,076	582
საპროცენტო შემოსავალი		1,339	1,978
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /(ზარალი)		1,448	553
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,863	3,113
მოგების გადასახადი		-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		6,863	3,113

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გიორგი ჯინჯოლავა
გენერალური დირექტორი


თიკო გონაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 GEL	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	144,009	152,054
საოპერაციო ხარჯები	6	(130,542)	(140,175)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(5,541)	(5,287)
ცვეთა		(2,455)	(2,744)
სხვა შემოსავალი		219	257
სხვა ხარჯები	7	(1,837)	(1,545)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)	13(b)(iii)	223	(1,978)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		4,076	582
საპროცენტო შემოსავალი		1,339	1,978
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /(ზარალი)		1,448	553
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,863	3,113
მოგების გადასახადი		-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		6,863	3,113

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გიორგი ჯინჯოლაძე
გენერალური დირექტორი


თიკო გონაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7-32 გვერდებზე.

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	მესაკუთრის არაფულადი შენატანების/გ ანაწილებების რეზერვი	გადაუხდე ლი კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	67,380	5,030	(100)	1,895	74,205
წლის მოგება	-	-	-	3,113	3,113
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(100)	-	100	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	67,280	5,030	-	5,008	77,318
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	67,280	5,030	-	5,008	77,318
წლის მოგება	-	-	-	6,863	6,863
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
დივიდენდების განაწილება	-	-	-	(5,000)	(5,000)
არაფულადი შენატანები					
მესაკუთრეებისგან	9	-	-	-	9
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	67,289	5,030	-	6,871	79,190

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		128,177	128,477
მომწოდებლებისთვის, დასაქმებულებისთვის და საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(114,412)	(121,719)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		13,765	6,758
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,456)	(268)
მიღებული პროცენტი		1,339	1,978
(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)/საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,117)	1,710
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(5,000)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,000)	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		7,648	8,468
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		25,654	17,292
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		1,004	(106)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	34,306	25,654

* არსებითი არაფულადი ოპერაციები განმარტებულია შენიშვნაში 5(a).

1 ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

გლობალური ფაქტორების მიუხედავად, საქართველოში, 2024 წელს, ეკონომიკა 9.4%-ით გაიზარდა, ინფლაციის დონემ კი 1,1% შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდა ძირითადად განპირობებულია გაზრდილი ექსპორტით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით და ფულადი გზავნილების დაჩქარებით, რაც დაკავშირებულია ისრაელიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან მიგრანტების/ტურისტების შემოდინებასთან. ქართული ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა 3.2% -ით (2023: 9.87%). www.geostat.ge; www.nbg.gov.ge.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 1 ოქტომბერს. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ (სარეგისტრაციო ნომერია 23702). კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 202462101.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თამარ მეფის გამზირზე N15, თბილისი 0112, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატვირთო საექსპედიტორო მომსახურეობა, რომელიც დაკავშირებულია, საქართველოში და საქართველოს გარეთ, სარკინიგზო, საგზაო და საზღვაოსნო ტრანსპორტით მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებასთან. აღნიშნულთან ერთად, კომპანია გასწევს სატერმინალო მომსახურებასაც.

კომპანიას მთლიანად ფლობს სს „საქართველოს რკინიგზა“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელიც თავის მხრივ მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიაა. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-15 შენიშვნაში.

2 აღრიცხვის საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (“ფასს სააღრიცხვო სტანდარტები”) და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის” შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4 შეფასებისა და განსჯის გამოყენება

ფასს სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებული განსჯის შესახებ, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 13(b)(ii) - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები.

არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ. სხვა მნიშვნელოვანი შეფასება განხილულია შენიშვნაში 13(b)(ii) - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის შეფასება ფინანსური აქტივებისთვის.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის გარკვეული რაოდენობის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებას.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

4 შეფასებებისა და განსჯის გამოყენება (გაგრძელება)

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშება ცვლილება.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 13 (a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5 შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
საექსპედიტორო მომსახურება	139,571	146,719
სატერმინალო მომსახურება	2,546	1,745
სხვა	961	1,321
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	143,078	149,785
ვაგონების იჯარა	931	2,269
	144,009	152,054

(a) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	9	9,151	13,536
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები		(2,358)	(2,600)

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს საექსპედიტორო მომსახურებისთვის მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსს. პერიოდის დასაწყისში, მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებში აღიარებული 2,600 ათასი ლარი 2024 წელს აღიარებულ იქნა როგორც საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 2,358 ათასი ლარის ოდენობით მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, 2025 წლის განმავლობაში აღიარებული იქნება როგორც საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

5 შემოსავალი (გაგრძელება)

2024 წლის განმავლობაში, მომსახურებიდან მოთხოვნები იქნა ურთიერთგადაფარული იმავე კონტრაგენტების მიმართ არსებულ 21,067 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულებასთან.

(b) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკა

შემოსავალი ფასდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

საექსპედიტორო, სატერმინალო და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი - შემოსავალი გამომუშავდება ანაზღაურების სანაცვლოდ ტვირთის ერთი პუნქტიდან მეორეში გადაზიდვის შედეგად, რომელიც ეფუძნება კომპანიასა და მის მომხმარებლებს შორის წინასწარ განსაზღვრულ ფასებს. შემოსავალი ფასდება იმ თანხით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აღნიშნული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. გარდა ამისა, ტრანსპორტირების საფასურის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე (cargo.railway.ge). კომპანია თავის მომხმარებლებს მოცულობაზე დაფუძნებულ ფასდაკლებებს სთავაზობს. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების მიხედვით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

საექსპედიტორო, სატერმინალო და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად, ფასს 15-ის მიხედვით. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობა ფასდება ტრანსპორტირების დასრულებამდე სავარაუდო დროის საფუძველზე.

სატერმინალო მომსახურება - მსგავსი შემოსავალი ფოთის, თბილისისა და ბათუმის ტერმინალებზე გენერირდება. სატერმინალო მომსახურება ტვირთის რკინიგზაზე დატვირთვისასთან და გადმოტვირთვისასთან დაკავშირებულ ყველა სახეობის სამუშაოს, ამწეს მომსახურებას, ტვირთის კონტეინერებში შენახვას და სხვა მსგავს მომსახურებას უკავშირდება.

შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში.

ვაგონების იჯარა - შემოსავალი კომპანიის ვაგონების გაქირავებიდან მიღებულია უცხო ქვეყნების რკინიგზებიდან, ძირითადად დსთ-ს ქვეყნებიდან, ასევე ადგილობრივი მომხმარებლებისგანაც. ვაგონების გაქირავება წარმოადგენს იჯარას და აღრიცხულია ფასს 16-ის მიხედვით.

6 საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები	129,447	138,973
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	835	909
მასალები	260	293
	130,542	140,175

7 სხვა ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	605	413
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	464	474
უსაფრთხოების ხარჯები	159	117
კომუნალური ხარჯები	145	137
მივლინების ხარჯები	64	56
დაზღვევის ხარჯები	34	50
სხვა ხარჯები*	366	298
	1,837	1,545

7 სხვა ხარჯები (გაგრძელება)

* ზემოთ წარმოდგენილი მუხლი „სხვა ხარჯები“ მოიცავს აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის აუდიტორული კომპანიებისათვის გადახდილ დაახლოებით 70 ათასი ლარის ოდენობით თანხებს (2023: 68 ათასი ლარი).

8 ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები *	ავეჯი და აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	12,584	56,728	676	69,988
შესყიდვები	100	76	92	268
გასვლები	-	(6)	(37)	(43)
2023 წლის 31 დეკემბერს	12,684	56,798	731	70,213
2024 წლის 1 იანვარს	12,684	56,798	731	70,213
შესყიდვები	240	2,164	52	2,456
გასვლები	-	-	(13)	(13)
2024 წლის 31 დეკემბერს	12,924	58,962	770	72,656
დაგროვილი ცვეთა				
2023 წლის 1 იანვარს	(4,696)	(15,157)	(549)	(20,402)
ცვეთის დარიცხვა	(70)	(2,611)	(45)	(2,726)
ცვეთა გასვლისას	-	4	-	4
2023 წლის 31 დეკემბერს	(4,766)	(17,764)	(594)	(23,124)
2024 წლის 1 იანვარს	(4,766)	(17,764)	(594)	(23,124)
ცვეთის დარიცხვა	(88)	(2,308)	(59)	(2,455)
ცვეთა გასვლისას	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერს	(4,854)	(20,072)	(653)	(25,579)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	7,888	41,571	127	49,586
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	7,918	39,034	137	47,089
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	8,070	38,890	117	47,077

* კომპანიის მანქანა-დანადგარები, ძირითადად მტკირთავეებისა და ლოკომოტივებისგან შედგება, რომლებიც მის სატერმინალო ობიექტებში სატვირთო კონტეინერების გადაადგილებისთვის გამოიყენება.

(a) საინვესტიციო ქონება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონება შედგება ფოთში მდებარე, 17,544 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისგან, მასზე მდებარე შენობებით, რომლებიც იჯარით არის გაცემული მესამე მხარეებზე. იჯარა ადვილად გაუქმებადი პირობებისგან შედგება, წლიური ფიქსირებული საიჯარო ფასით.

2024 წლის განმავლობაში, 183 ათასი ლარის ოდენობით საინვესტიციო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი (2023: 183 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა „სხვა შემოსავლის“ მუხლში.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან.

8. ძირითადი საშუალებები

მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მსგავსი ქონებების (მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში) უკანასკნელ გარიგებებში არსებულ საბაზრო ფასებზე ან გამოცხადებულ მოთხოვნილ ფასებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს მიწის მახასიათებლებში, როგორც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და მოლაპარაკებების გზით მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა 0%-დან 40%-მდე კორექტირებები დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე.

სამართლიანი ღირებულება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, გამოყენებული შეფასების ტექნიკის მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამო.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,814	20,422
გაუფასურების ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(6,663)	(6,886)
	9,151	13,536
გადახდილი ავანსები	5,835	4,202
	14,986	17,738

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	34,306	23,654
მოთხოვნამდე ანაზრები	-	2,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	34,306	25,654

მოთხოვნამდე ანაზრები წარმოადგენს ვადიან ანაზრს ბანკებში შეძენის თარიღიდან 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით, მაგრამ, რომლებისთვისაც კომპანიას აქვს ანაზრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაზრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაზრს. ნაშთები ძირითადად ფლობილია ფულადი სახსრების მართვის მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

კომპანიის საპროცენტო, საკრედიტო, და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

11 კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა განსაზღვრა განთავსებული კაპიტალის ვადა და კომპანიას 2025 წლის პირველ აპრილამდე ავალდებულებს შესაბამისობის უზრუნველყოფას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ განუსაზღვრავს განთავსებული კაპიტალი.

(b) მესაკუთრის არაფულადი შენატანები/განაწილებები

სხვაობა მესაკუთრის არაფულადი აქტივების შენატანებისთვის რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის ზრდის ნომინალურ ღირებულებასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება მესაკუთრის არაფულადი შენატანის რეზერვში.

არაფულადი განაწილებები აღიარდება განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით, რადგან საბოლოო მაკონტროლებელი მხარე აკონტროლებს აქტივებს მათ განაწილებამდე და განაწილების შემდეგ. სხვაობა მესაკუთრის არაფულადი აქტივების განაწილებებისთვის რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის შემცირებასა და განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მესაკუთრის არაფულადი განაწილების რეზერვში.

2024 წელს საწესდებო კაპიტალის დამატება მოიცავს მშობელი კომპანიის მიერ 9 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების არაფულად შენატანებს (2023 წლის განმავლობაში, არაფულად შენატანებს ან განაწილებებს ადგილი არ ჰქონია).

(c) გადაუხდელი კაპიტალი

გადაუხდელი კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას თავდაპირველად განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებასა (კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში რეგისტრირებულის შესაბამისად) და იმ ოდენობას შორის, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის მშობელი კომპანიისგან.

(d) დივიდენდები

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 5,000 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები (2023 წელს, კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები).

12 კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობამ შეადგინა 79,190 ათასი ლარი (2023: 77,318 ათასი ლარი)

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნებს.

13 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური განსჯის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებები შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე ვადიანობის გამო.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება, ხოლო საინვესტიციო ქონება კლასიფიცირებულია, როგორც მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შესაბამისად.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭო ზედამხედველობას უწევს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

13 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელმწიფოებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კლიენტების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტებისთვის:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	34,306	25,654
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 9)	9,151	13,536
	43,457	39,190

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც ფუნქციონირებენ მომხმარებლები.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 68% (2023: 61%) მიკუთვნებულია კომპანიის სამ ძირითად მომხმარებელთან განხორციელებულ გაყიდვის ოპერაციებზე.

საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება ტვირთის გადაზიდვის კლიენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნის გზით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მოიცავს მოთხოვნებს უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებიც გასწევენ ლოგისტიკურ და მშრალი ტვირთის მიწოდების მომსახურებას და საიჯარო მოთხოვნებს. აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის გზით და იმ ვალდებულებების დაუყოვნებელი დაფარვის მოთხოვნით, რომელთა ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაქტისთვის გარკვეულ, დაწესებულ ზღვრებს უახლოვდება.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის, ხანდაზმულობის პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეები. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

კომპანია ადგენს გაუფასურების ანარიცხს, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკზე, ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (მათ შორის და არა მხოლოდ იყენებს, გარე რეიტინგებს, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მმართველობით ანგარიშებს, ფულადი ნაკადების პროგნოზებს და სხვა ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციას მომხმარებლების შესახებ) და მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიაწოდებს დეფოლტის რისკზე და შეესაბამება სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებს.

13 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

'000 ლარი	2024	2024	2024
	არ არის საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული	გაუფასურებული	
დაბალი რისკი	5,368	-	5,368
მაღალი რისკი	-	10,446	10,446
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	5,368	10,446	15,814
ზარალის ანარიცხი	(210)	(6,453)	(6,663)
	5,158	3,993	9,151

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და მომხმარებლების სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

'000 ლარი	2023	2023	2023
	არ არის საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული	გაუფასურებული	
დაბალი რისკი	5,219	-	5,219
მაღალი რისკი	-	15,203	15,203
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	5,219	15,203	20,422
ზარალის ანარიცხი	(192)	(6,694)	(6,886)
	5,027	8,509	13,536

მომძრაობა გაუფასურების ანარიცხში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	6,886	4,908
ზრდა წლის განმავლობაში	(223)	1,978
ნაშთი წლის ბოლოს	6,663	6,886

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი სავაჭრო მოთხოვნებისათვის დაფუძნებულია ვადაგადაცილების სტატუსზე, გარე საკრედიტო რეიტინგზე და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, მანამ სანამ კომპანია არ დარწმუნდება, რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი შეადგენს მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების დაახლოებით 78%-ს (31 დეკემბერი 2023: 77%).

13 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ფლობდა ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 34,306 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს: 25,654 ათასი ლარი). ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B (ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლების მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი საანგარიშგებო თარიღისთვის.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვაში იყენებს დაფარვის ვადების ცხრილებს. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი უნდა იქნეს საანგარიშგებო თარიღიდან, კერძოდ 2024 წლის 31 დეკემბრიდან, ექვსი თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების გადინების ვადები არ აღემატება ერთ წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ გაყიდვებთან, შესყიდვებთან და ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

13 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,366	12,641
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,744	7,796
სავაჭრო ვალდებულებები	(2,691)	(2,039)
წმინდა დაქვემდებარება	39,419	18,398

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო ცვლილება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(3,942)	3,942
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(1,840)	1,840

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ფულადი სახსრების ანაზრებზე განთავსებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას იმის გადასაწყვეტად, ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისთვის თუ ცვლადი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე. კომპანია მნიშვნელოვნად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ცვლადგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

14 პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებს, დავებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

15 დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „საქართველოს რკინიგზა“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

სს „საქართველოს რკინიგზა“ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით.

(b) ოპერაციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან

(i) მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ (კომპანიის გენერალურმა დირექტორმა) წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	95	95

13 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

(i) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ ან იმყოფება ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გათავისუფლების გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის საშუალებას იძლევა.

(ii) ოპერაციები მშობელ კომპანიასთან, წილობრივი ოპერაციების გარდა

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გასწია 64,168 ათასი ლარის ოდენობით სს „საქართველოს რკინიგზისგან“ ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები (2023: 67,556 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას აქვს გადახდილი 3,487 ათასი ლარის ოდენობით ავანსები სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,111 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობის შეფასებით, სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ სუბიექტებთან დაკავშირებული ნაშთების ჯამური ოდენობები არ არის არსებითი.

16 არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

ქვემოთ განსაზღვრული საადრიცხო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის საადრიცხო პოლიტიკაზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

(i) საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო ქონებიდან ან სხვა გაქირავებული აქტივებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. გაცემული საიჯარო შეღავათები აღიარდება მთლიანი საიჯარო შემოსავლის განუყოფელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის მანძილზე. ვაგონების იჯარა აღირიცხება შემოსავლის სახით, რადგან კომპანიისთვის აღნიშნული უწყვეტ საქმიანობას წარმოადგენს, ხოლო საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი სხვა შემოსავლის სახით აღირიცხება.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე და მიმდინარე ანგარიშებზე;
- სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(e) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადყოფნა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულებით.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო საშუალო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	10-50 წელი;
– მანქანა-დანადგარები	10-20 წელი;
– ავეჯი და მოწყობილობები	3-20 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(f) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მიღების ან/და კაპიტალის ღირებულების ზრდის (ან ორივე) მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს ქონებას, რომლის სამომავლო დანიშნულება ჯერჯერობით განუსაზღვრელია.

საინვესტიციო ქონების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, გარიგების ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, თუკი ეს დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მაგრამ არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი გაუფასურების გამოკლებით.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შესადარის პერიოდებისთვის შენობების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაა 50 წელი.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების შეწყვეტისას ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება მოსალოდნელი აღარ არის.

საინვესტიციო ქონებაში გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება არ არის დაკავებული მისი მფლობელის მიერ ან გადაცემულია მეორე მხარისთვის საოპერაციო იჯარის გზით. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება დაკავებულია მისი მფლობელის მიერ ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება კომპანიისათვის არ არის გამოყენებადი, ე.ი. არ არსებობს ნაშთები, რომლებიც ამ გზით ფასდება. საჭიროა, მხოლოდ კომპანიისთვის რელევანტური ინფორმაციის გამჟღავნება.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და არის კლასიფიცირებული ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს და ვადიან ანაზღაურებებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემდგომი თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არაარსებითია.

ვადიანი ანაზღაურება წარმოადგენს ვადიან ანაზღაურებას ბანკებში შემდგომი თარიღიდან 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით, მაგრამ, რომლისთვისაც კომპანიას აქვს ანაზღაურების გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(h) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

საწესდებო კაპიტალის ზრდა

საწესდებო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების რეზერვში მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირებები და არა-ფულადი განაწილებები აღიარდება განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით. კომპანიის არა-ფულადი განაწილებები არ განიხილება ფასიკ 17 „არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე“ ფარგლებში, რადგან აქტივებს აკონტროლებს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე მათ განაწილებამდე და განაწილების შემდეგ.

(i) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის ანარცხებს აღიარებს:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ ინვესტიციებზე სავალო ინსტრუმენტებში; და
- სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აფასებს ზარალის ანარცხებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის ანარცხები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და საპროგნოზო პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ფასდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (ანუ, სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის ანარიცხები გამოიქვეთება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიხებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდიხებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე, გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულების დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(j) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(k) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(l) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია იყენებს ფასს 16-ის იჯარის განმარტებას.

(i) როგორც მოიჯარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ ჰქონდა არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა, გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდება; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, კომპანიამ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

კომპანია იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. კომპანია შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში ბრუტო ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

17. შემდგომი მოვლენები

ცვლილება მთავარ ხელმძღვანელ პირებში

2025 წლის 27 მაისიდან კომპანიის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, ლაშა ახალბედაშვილმა, თანამდებობა დატოვა და 2025 წლის 30 მაისს მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით კომპანიის გენერალურ დირექტორად გიორგი ჯინჯოლავა დაინიშნა.

კაპიტალის შემცირება

2025 წლის 13 ივნისის სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით და 2025 წლის 17 ივლისის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების კაპიტალიდან გატანილი იქნა 200 ერთეული ნახევარვაგონი და 599 ერთეული მარცვლეულის გადამზიდი ვაგონი. ტრანზაქციის ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის შეფასებით წარმოადგენდა 28,521,400 ლარს. შედეგად, შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების კაპიტალი განისაზღვრა 38,759,772 ლარით.

18. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

19 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ის საადრიცხო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).
- ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).



მმართველობითი ანგარიში




2024 წელი

კომპანიის შესახებ.....	3
ხედვა, მიზანი და მისია.....	4
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	5
ძირითადი სამოქმედო ბაზრები და პარტნიორები	6
რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები	9
SWOT ანალიზი	13
ფინანსური რისკები.....	14
სამომავლო გეგმა.....	16
კანონმდებლობა და რეგულაციები	16
უკრაინაში ომის გავლენა.....	16

შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ დაარსდა 2009 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202462101). კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15. იგი წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილ კომპანიას. მისი შექმნის მიზეზი იყო ტვირთების დივერსიფიკაცია და საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვის ბაზარზე დამკვირდება. შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ ფლობს საკონტეინერო ტერმინალებს ფოთსა და თბილისში. ტერმინალები აღჭურვილია სერტიფიცირებული ამწე ტექნიკით, რკინიგზის ჩიხით, დაცვისა და უსაფრთხოების სისტემით.

ამჟამად, შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ ეწევა სამი სახის მომსახურებას: საკონტეინერო და სავაგონო ტვირთების ფორვარდინგს, სატერმინალო მომსახურებებს. თითოეული საქმიანობის სფერო ჩაშლილია სერვისების მიხედვით, მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანია ორიენტირებულია მუდმივად სერვისის ხარისხის გაუმჯობესებაზე და აქედან გამომდინარე, ყველა სერვისის პროცედურები და შემადგენელი კომპონენტი მომხმარებელზე არის მისადაგებული (გადატვირთვა, ამწის ოპერაციები, ტვირთის აწონვა, საკონტეინერო და სავაგონო ტვირთის გადაზიდვა ნებისმიერი ადგილიდან ადგილამდე, კონტეინერის შენახვა საბაჟო ტერმინალში, საკუთარი კონტეინერებისა და ვაგონები გაიჯარება, შემდგომში ტვირთის ექსპედიციის მიზნით).

ასევე მიმდინარეობს თანამშრომლობა TRACECA-ს დერეფანის ქვეყნებთან, რაც ზრდის შემოსავლებს და ტვირთის ბრუნვას. TRACECA -ს დერეფანი წარმოადგენს უმოკლესი გზას ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. TRACECA-ს დერეფანში ტვირთების გაზრდის მიზნით შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ შეიმუშავა მარკეტინგული სტრატეგია „ერთი ფანჯრის პრინციპი“, რაც გულისხმობს დარგის მონაწილეების ჩართვას მიწოდების ჯაჭვში ისე, რომ მოხდეს შეუფერხებელი გადაზიდვა და ერთიანი ტარიფის შეთავაზება.



2014 წელს საქართველო გახდა TITR (Trans-Caspian International Transport Route)- ის (იგივე MC (middle corridor)) დამფუძნებელი წევრი, რომელიც არის უმოკლესი გზა ჩინეთიდან ევროპაში სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვის, კერძოდ საზღვაო გადაზიდვისას 45 დღის ნაცვლად 11 დღეში ტვირთი იქნება დანიშნულების ადგილზე. Middle corridor (MC)-ის ეფექტურობის გაზრდის მიზნით 2022 წელს ყაზახეთს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმდა ე.წ. „Roadmap“, სადაც ჩამოთვლილი იყო პრიორიტეტული ინვესტიციები და ქმედებები შუა დერეფნის გასაუმჯობესებლად. 2023 წლის ივნისში აზერბაიჯანი, საქართველო და ყაზახეთი შეთანხმდნენ ერთობლივი ლოგისტიკური ოპერატორის შექმნაზე. MC ემსახურება მულტიმოდალურ გადაზიდვებს, რომელიც მოიცავს ყაზახეთს, აზერბაიჯანს, კასპიის ზღვასა და საქართველოს (იხილეთ სურათი 1). დაახლოებით მესამედი ამ მარშრუტით გადაზიდული ტვირთის მიეკუთვნება ტრანზიტს ევროკავშირსა და ჩინეთს შორის. სავარაუდოდ აღნიშნულ დერეფანზე ტვირთბრუნვის ყველაზე მნიშვნელოვან ზრდა იქნება 2030 წლამდე.

Figure 1. The MC among trade corridors connecting Europe and Asia



ძირითადი სერვისები:

- სავაგონო და საკონტეინერო ტვირთების საექსპედიტორო მომსახურებები;
- სატერმინალო მომსახურებები;
- საკუთარი მარცვალმზიდი და ნახევარვაგონი ვაგონებისა და ასევე კონტეინერების გაიჯარება შემდგომში ტვირთის ექსპედიციის მიზნით.

სატერმინალო მომსახურებები:

- ყველა ტიპის დატვირთვა/გადატვირთვის სამუშაოები
- ჯოჯგინა ამწის მომსახურება
- სარკინიგზო ვაგონიდან ტვირთის გადატვირთვა მანქანაზე/კონტეინერში და პირიქით
- ტვირთის შენახვა და დასაწყობება საბაჟო ტერმინალებში, როგორც ღია მოედანზე ასევე დახურულ საწყობში
- სამანევრო ლოკომოტივის მომსახურება.

ხედვა, მიზანი და მისია

ხედვა - გახდეს ყველაზე უსაფრთხო, მიმზიდველი, მომხმარებელზე ფოკუსირებული და წარმატებული სატრანსპორტო კომპანია ევროპასა და აზიის დერეფანში და უზრუნველყოს ტვირთების ნაკადების ზრდა. ასევე უზრუნველყოს ტექნიკურად დახვეწილი და მორგებული ინფრასტრუქტურა, მობილურობა, მომხმარებელზე მორგებული მომსახურება და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა-განვითარება.

კომპანიის მიზანია შექმნას საკონტეინერო ტვირთის გადაზიდვების უწყვეტი ჯაჭვი ევროპასა და აზიას შორის ბლოკ მატარებლების მეშვეობით.

ასევე, კომპანიის მიზანია საკუთარი ადამიანური, ტექნიკური და მატერიალური რესურსით შეიტანოს წვლილი ქვეყნის მდგრად და სწრაფ განვითარებაში.


მისია არის კონკურენტული დერეფანიდან გადმოიზიდოს საკონტეინერო ტვირთების დიდი მოცულობა, დაინერგოს ერთი ფანჯრის პრინციპი და უზრუნველყოფილი იყოს გადაზიდვის დროისა და ხარჯის შემცირება. GR ლოგისტიკა და ტერმინალები, როგორც საერთაშორისო პროექტების მონაწილე და მთავარი ოპერატორი, წარმოადგენდეს სანდო პარტნიორს მსხვილი და საშუალო ბიზნესისთვის. ამისთვის კომპანიას არჩეული აქვს რამდენიმე **სტრატეგიული მიმართულება**:

- დერეფანში ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერების დაძლევა და გამარტივება;
- ერთი ფანჯრის პრინციპით ფუნქციონირება;
- არსებული სიმძლავრეების ეფექტურად გამოყენება;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც ადვილად რეაგირებს გარემოს ცვლილებებზე.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალების“ ორგანიზაციული სტრუქტურა შედგენილია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე მორგებულია კომპანიის მიზნებსა და სტრატეგიაზე. შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ახალქალაქში და ქ. ფოთში არსებული ოფისების საშუალებით, რომლებიც დაკომპლექტებულია 246 კვალიფიცირებული თანამშრომლით.

აღსანიშნავია, რომ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფთან“ ანაზღაურებულია კომპანიის მიერ.



ძირითადი სამოქმედო ბაზრები და პარტნიორები

შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშეა ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკის სფეროში საქართველოს ბაზარზე. კომპანიის უმსხვილესი პარტნიორებია საქართველოს მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი) წარმომადგენელი კომპანიები. გარდა ამისა, ტვირთბრუნვა აქტიურად მიმდინარეობს აზიის ქვეყნების მიმართულებითაც (ყაზახეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ჩინეთი).





წყარო: კომპანიის საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით.

2024 წელს საკონტეინერო ტვირთი ტრანსკავკასიურ დერეფანში შემცირებულია 2023 წლის შედარებით 9%-ით, რაც გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ყარსის დერეფნის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებელი სამუშაოების ჩატარებით და დროების დერეფნის ჩაკეტვით, აქვე აღსანიშნავია, რომ BTK-ის დერეფანზე გამავალმა კონტეინერებმა შეიცვალა გადაზიდვის მიმართულება ფოთი/ბათუმის პორტების დანიშნულებით და შესაბამისად, როგორც დიაგრამიდან ჩანს საგრძნობად გაზრდილია ჩინეთიდან ტვირთბრუნვა.

შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალების“ ძირითადი კლიენტები და პარტნიორი ორგანიზაციებია:

- ექსპედიტორები და იმპორტიორები
- ადგილობრივი გადამზიდავები
- საერთაშორისო ექსპედიტორი კომპანიები
- საზღვაო ხაზები
- კასპიისა და შავი ზღვის საბონრე მომსახურეობის შემსრულებელი კომპანიები;



წყარო: კომპანიის საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით


2023 წელს სავაგონო ტვირთნაკადი 2022 წელთან შედარებით 16%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ყარსის დერეფნის ინფრასტრუქტურის განახლებითი სამუშაოებით, რომლებიც დაიწყო 2023 წლის მაისიდან, ასევე დროებითი დერეფნის ჩაკეტვით და უმსხვილესი პროექტის — ყაზახეთიდან რკინის გადაზიდვის — შეჩერებით.

მიუხედავად ამისა, კომპანიის მენეჯმენტმა 2023 წლიდან შეძლო ტრანსკავკასიურ დერეფანში ახალი, მასშტაბური პროექტის მოზიდვა — ყაზახეთიდან გოგირდის გადაზიდვა, რომელმაც 2024 წელს ცენტრალური აზიიდან ტვირთბრუნვის მცირე, მაგრამ პოზიტიურ ზრდას შეუწყო ხელი, მიუხედავად იმისა, რომ რკინის გადაზიდვის პროექტი დასრულდა.

კომპანია სრულად მონაწილეობს გადაზიდვის ჯაჭვში, კლიენტის მოთხოვნების შესაბამისად, და ჩართულია ყველა ლოგისტიკურ პროცესში. „ერთი ფანჯრის“ პრინციპის გამოყენებით უზრუნველყოფთ ტვირთის დროულ და ეფექტურ მიწოდებას ტვირთმომღებთან.


რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები

შემოსავლების თანხობრივი გადანაწილება სერვისების კატეგორიების მიხედვით('000 ლარი)




წყარო: კომპანიის საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

ჯამური საკონტეინერო გადაზიდვები 2023-2024 წლების მონაცემებით(20/40 ფტ კონტეინერები):



წყარო: კომპანიის საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

ჯამური სავაგონო გადაზიდვები გამოხატული ტონებში, 2023-2024 წლის თვეების კრილში:



*წყარო: კომპანიის საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2024 წელს კომპანიამ შეინარჩუნა ტვირთის რაოდენობა, მიუხედავად რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მიმდინარე პროცესებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის დერაფანზე არსებული აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა.

რეგიონში არსებული ვითარების მიუხედავად კომპანია მუდმივად მუშაობდა ტვირთთა გადაზიდვის გაზრდაზე, როგორც საკონტეინერო ასევე სავაგონო ტვირთის. ასევე, მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკება საზღვაო ხაზებთან, რათა გადაიხედოს მათი ტარიფები და მათი საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვა მოხდეს სარკინიგზო გზით.

ტერმინალები

თბილისის ტერმინალი

GR ლოგისტიკა და ტერმინალები ოპერირებას უწევს თბილისში ერთადერთ ტექნიკურად სრულად აღჭურვილ საკონტეინერო ტერმინალს, რომელიც განლაგებულია 5 ჰექტარ ტერიტორიაზე.

ტერმინალზე სრულყოფილი სერვისების განხორციელებისათვის დამონტაჟებულია სხვადასხვა ტიპის მანქანა-დანადგარები:

- ორი საკონტეინერო „ჯოჯინას“ ტიპის ამწე, თითოეულის ტვირთამწეობაა 45-50 ტონა;
- სამი ავტომტვირთავი :1 ცალი 3,5 ტონის ტვირთამწეობით, 1 ცალი 2,5 ტონის ტვირთამწეობით და 1 ცალი 1,8 ტონის ტვირთამწეობით;
- სამი სარკინიგზო ხაზი: 2 სარკინიგზო ხაზი - 305 მეტრი სასარგებლო სიგრძით, ხოლო 1 სარკინიგზო ხაზი 640 მეტრი სასარგებლო სიგრძით
- ერთი თბომავალი

ტერმინალის ტერიტორიაზე, აგრეთვე განთავსებულია დახურული საბაჟო საწყობი, ასევე სამი ერთეული გადატვირთვის მაგიდა ვაგონიდან პირდაპირ კონტეინერში გადასატვირთად და პირიქით.

ტერმინალზე განთავსებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული 71 ერთეული 20-ფუტიანი კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სასაწყობედ.

GR ლოგისტიკა და ტერმინალების თბილისის საკონტეინერო ტერმინალში დასაქმებულია 50 ადამიანი.

ფოთის ტერმინალი

GR ლოგისტიკა და ტერმინალები ოპერირებს უწევს ფოთის ტექნიკურად სრულად აღჭურვილ საკონტეინერო ტერმინალს, რომელიც განლაგებულია 8 ჰექტარ ტერიტორიაზე.

ტერმინალზე ოპერირებს შემდეგი ტიპის მანქანა-დანადგარები:

- 1 ერთეული საკონტეინერო „ჯოჯგინას“ ტიპის ამწე, რომლის ტვირთამწეობაა 35 ტონა,
- რიჩსტაკერი, გამოიყენება გაბარიტული და არასტანდარტული ზომების მქონე ტვირთების გადაადგილებისათვის 45 ტონის ტვირთამწეობით
- ექვსი ერთეული ავტომტვირთავი: 3 ცალი ავტომტვირთავი 3 ტონა ტვირთამწეობით და 3 ავტომტვირთავი 1,8 ტონა ტვირთამწეობით
- ორი თბომავალი

გარდა ამისა, ტერმინალს გააჩნია ორი სარკინიგზო ხაზი, თითო 800 მეტრიანი სასარგებლო სიგრძით. ტერმინალზე განთავსებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული 21 ერთეული 20-ფუტიანი კონტეინერები, რომელიც გამოიყენება სასაწყობედ. ასევე სამი ერთეული გადატვირთვის მაგიდა ვაგონიდან პირდაპირ კონტეინერში გადასატვირთად.

GR ლოგისტიკა და ტერმინალების ფოთის ტერმინალში დასაქმებულია 75 თანამშრომელი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ფოთის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე GR ლოგისტიკა და ტერმინალები ფლობს ერთ საინვესტიციო ქონებას, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს (17,544 კვ.მ. მიწის ნაკვეთი). აღნიშნული საინვესტიციო ქონება გაცემულია გრძელვადიანი იჯარით მესამე პირზე.

ბათუმის ტერმინალი

2020 წლის ივლისში სს „საქართველოს რკინიგზამ“ კაპიტალში შეიტანა ბათუმის ტერმინალი, რათა კომპანიამ გააფართოვოს თავისი სერვისების რაოდენობა, მოახდინოს მომხმარებლების მოთხოვნის შესაბამისად სერვისის ხარისხის გაუმჯობესება და ეფექტურად მართოს გადაზიდვის პროცესი. ტერმინალი განლაგებულია 4043 მ²-ზე და აღჭურვილია 3 ერთეული ავტომტვირთავით: 1 ცალი-3 ტონის, 2 ცალი - 1,8 ტონის, გარდა ამისა, ტერმინალს გააჩნია 1 (ერთი) სარკინიგზო ხაზი, რომლის სასარგებლო სიგრძეა 494 მეტრი. ტერმინალზე განთავსებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული 2 ერთეული 20-ფუტიანი კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სასაწყობედ. ასევე ტვირთის გადატვირთვისათვის ტერმინალში არის გადახურული ბაქანი. ასევე ქ. ბათუმში კომპანიას აქვს საექსპედიტორო ოფისი, რათა დროულად მოხდეს საკონტეინერო თუ სავაგონო ტვირთის გადინიშნვა ბათუმის ტერმინალიდან თუ პორტიდან.

GR ლოგისტიკა და ტერმინალების ბათუმის ტერმინალში და საექსპედიტორო ოფისში დასაქმებულია 35 თანამშრომელი.

2024 წლის ჯამური დამუშავებული TEU თბილისის და ფოთის ტერმინალებში და გადატვირთული ტონაჟი სამივე ტერმინალში:

სულ ტერმინალებში გადამუშავებული TEU	1M	2M	3M	4M	5M	6M	7M	8M	9M	10M	11M	12M	ჯამი
TBILISI TER-TCH	559	872	681	1,165	1,404	1,166	1,179	1,487	1,267	1,327	997	701	12,805
POTI TER-TCH	614	748	617	624	1,050	1,202	966	1,493	1,148	1,052	1,057	807	11,378
გადატვირთული ტონა	1M	2M	3M	4M	5M	6M	7M	8M	9M	10M	11M	12M	ჯამი
TBILISI TER- LOADING. (Ton)	390	393	992	536	294	308	66	100	135	57	67	79	3,417
Batumil TER- LOADING. (Ton)	970	587	793	654	900	864	1,387	1,190	514	1,265	845	904	10,872
POTI TER- LOADING. (Ton)	1,610	843	550	1,365	1,089	979	735	751	248	127	-	46	8,342

წყარო: კომპანიის საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალების“ სამივე ტერმინალი სრულად არის აღჭურვილი, რომ მოხდეს ტვირთის გადატვირთვა, როგორც მანქანიდან ვაგონში ან კონტეინერში, ასევე ვაგონიდან კონტეინერში ან პირიქით. ბათუმის ტერმინალი არ არის აღჭურვილი ჯოჯგინა ამწით ან რიჩსტაკერით და ამიტომ ბათუმის ტერმინალი სერვისებია მხოლოდ ტვირთის გადატვირთვა და ტვირთის/კონტეინერის შენახვა ტერმინალის ტერიტორიაზე.

2019 წლის ბოლოს კომპანიამ ახალქალაქში დაამატა წარმომადგენლობითი ოფისი, რათა ოპერატიულად და ეფექტურად მოახდინოს კონტეინერისა თუ ვაგონის გადაზიდვის ოპერაციების შესრულება BTK (ბაქო-თბილისი-ყარსი)-ს დერეფანში. ამჟამად შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალების“ ახალქალაქის წარმომადგენლობით ოფისში დასაქმებულია 20 თანამშრომელი.

SWOT ანალიზი

STRENGTHS – ძლიერი მხარეები

- ✓ პარტნიორობა სს „საქართველოს რკინიგზასთან“
- ✓ ქვეყნის ხელსაყრელი გეო–პოლიტიკური მდებარეობა;
- ✓ უსაფრთხო გადაზიდვის შესაძლებლობა ნებისმიერ კლიმატურ პირობებში;
- ✓ ტვირთის დაცლა/დატვირთვისათვის საჭირო სრული ტექნიკური აღჭურვილობა;
- ✓ ექსკლუზიური ფასი / კონტრაქტები
- ✓ ინფრასტრუქტურა / თბილისის, ფოთის ტერმინალი
- ✓ ფინანსური სტაბილურობა / სიძლიერე (სტაბილური მოგება)
- ✓ ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე და ძლიერი ნეთვორქინგი
- ✓ გამოცდილი და კვალიფიცირებული კადრები

WEAKNESSES – სუსტი მხარეები

- ✓ სრული წილის მფლობელია სახელმწიფო;
- ✓ არასრულყოფილი ბილინგის სისტემა;
- ✓ რკინიგზათაშორისო პროგრამის არ არსებობა - საერთაშორისო გადაზიდვების დროს კონტეინერის/ვაგონის ადგილმდებარეობის არ ცოდნა.
- ✓ ბიუროკრატია
- ✓ გაუმართავი ორგანიზაციული სისტემა - ფუნქციები, მოვალეობები, პროცესები, სამუშაო ინსტრუქციები;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფის არ ქონა

OPPORTUNITIES – შესაძლებლობები

- ✓ ტვირთის დივერსიფიცირების საშუალება;
- ✓ გეო–პოლიტიკური და რეგიონალური პროექტების განხორციელება
- ✓ ინფრასტრუქტურის განახლების საშუალება;
- ✓ გამტარუნარიანობის გაზრდის საშუალება;
- ✓ ტვირთის კონტეინერიზაციის შესაძლებლობა;
- ✓ ახალი ბაზრის მოპოვების საშუალება;
- ✓ სასაწყობე მეურნეობების მოწყობის შესაძლებლობა
- ✓ ანაკლიის პორტი / გაზრდილი ტვირთბრუნვა

THREATS – საფრთხეები

- ✓ რკინიგზის პოლიტიკის შეცვლა კომპანიასთან მიმართებაში: ფასები, ტვირთები, კაპიტალი.
- ✓ გლობალური პოლიტიკური ურთიერთობის ესკალაცია და ტვირთბრუნვის შემცირება (რუსეთი, ყაზახეთი)
- ✓ საერთაშორისო კონკურენტების შემოსვლა / გაძლიერება
- ✓ არამყარი პარტნიორები;
- ✓ არასტაბილური გეო–პოლიტიკური მდგომარეობა

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვა. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ექვემდებარება რეგულარულ და პერიოდულ გადახედვას, რათა მოხდეს საბაზრო პირობებში კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების დროული ასახვა.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

დებიტორული დავალიანება: კომპანიის საკრედიტო რისკზე ძირითადად თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები მოქმედებს. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე.

საკრედიტო რისკის მართვა მიმდინარეობს სატვირთო საექსპედიტორო მომსახურების კლიენტებისთვის წინასწარი ავანსების მოთხოვნის საფუძველზე. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება უცხოური ქვეყნების მიმართ მოთხოვნებისგან, რომლებიც გასწევნ ლოგისტიკურ და მშრალი ტვირთის მიწოდების მომსახურებებს და საიჯარო მოთხოვნებისგან. ამ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვა მიმდინარეობს მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის საფუძველზე, დაგროვილი ვალდებულებების დაუყოვნებლივი გადახდის მოთხოვნით, იმ მომენტისთვის როდესაც თითოეული კონტრაგენტის მოთხოვნა გარკვეულ ლიმიტს აღწევს.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესის განმავლობაში, ხდება კლიენტების დაჯგუფება საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის ვადიანობის, ხანდაზმულობის პროფილის და წინა პერიოდებში არსებული ფინანსური სირთულეების არსებობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნასთან მიმართებაში ზოგადად არ მოითხოვება უზრუნველყოფა.

კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც ასახავს მის სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, როდესაც კომპანია ვერ უზრუნველყოფს დაკისრებული ვალდებულების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკების პრევენციული მიზნებისათვის კომპანიის მიდგომაა, რომ ვალდებულების გადახდის თარიღისათვის გააჩნდეს ყველა ფინანსური დავალიანების დაფარვის საშუალება, რათა შენარჩუნებულ იქნას კომპანიის მაღალი რეპუტაცია საზოგადოების წინაშე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ აგრეთვე უზრუნველყოფს სამუშაო კაპიტალის (working capital) დადებით ბალანსს. რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები უნდა აღემატებოდეს მიმდინარე ვალდებულებებს. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს სამუშაო კაპიტალის პერიოდულ მონიტორინგს.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. რეგიონში დამაბული საომარი (რუსეთ-უკრაინისა და შუა აღმოსავლეთში კონფლიქტმა) ვითარებებმა გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ლიკვიდურობაზე და/ან საოპერაციო სიცოცხლისუნარიანობაზე.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ ფინანსური გუნდი ყოველთვიურ რეჟიმში ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მონიტორინგს. კომპანია იყენებს დაფარვის ცხრილებს ლიკვიდურობის რისკის მართვისას. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ხელშეკრულებით უნდა გადაიხადოს საანგარიშგებო თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

მენეჯმენტის შეფასებით, ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების გადინების დრო არ აღემატება ერთ წელს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო უცხოურ ვალუტებში და პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი

კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სავალუტო რისკს ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (მაგ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, შესყიდვები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები). ვალუტები, რომელშიც ეს ოპერაციები, ძირითადად, დენომინირებულია არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას არ გააჩნია სესხები ან სხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება პროცენტი.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის გამართული ფუნქციონირება, რათა მეწილემ მიიღოს უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია - კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა - კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც აუდირებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე IFRS სტანდარტების შესაბამისად.

სამომავლო გეგმა

კომპანიის სამომავლო გეგმებია ტრანსკავკასიურ დერეფანში ერთი ფანჯრის პრინციპის კიდე უფრო განვითარება და ერთიანი ტარიფის შეთავაზება კლიენტებისთვის. სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც ხაზს უსვამს აზიაში წარმოებული პროდუქტის მნიშვნელობას ევროპის ქვეყნებისთვის. კერძოდ – ნავთობპროდუქტები, ქვანახშირი, ხორბალი, ბამბა, ქსოვილები, რკინა და განსაკუთრებით ჩინეთში წარმოებული პროდუქცია, რომლითაც მარაგდება მთელი მსოფლიო. ასევე ევროპის ინტერესებში შედის თავისი პროდუქციის გატანა აზიის ბაზარზე. ბოლო ხანებში ინტენსიურად ხდება ტვირთების მიმოცვლის ალტერნატიული გზებისა და დერეფნების მოძიება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია ორიენტირებულია მოიზიდოს როგორც აზიური ასევე ევროპული ტვირთი TRACECA-ს დერეფანზე.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სს „საქართველოს რკინიგზის“ სატარიფო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.

უკრაინაში ომის გავლენა

2022 წლის თებერვალში რუსეთმა მოახდინა ფართომასშტაბიანი შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე. ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონში სიტუაცია. უკრაინიდან, რუსეთიდან და პირიქით მიმართულებით ტრანზიტული ტვირთის გატარება შეწყდა და კომპანიამ დაკარგა აღნიშნული ტვირთები. მაგრამ რუსეთზე სანქციების დაწესების გამო ცენტრალური აზიიდან და ჩინეთიდან ტვირთის გადაზიდვა რუსეთის დერეფნით შეიზღუდა და კომპანიის მენეჯმენტთან და მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა პარტნიორმა უმოკლეს ვადაში შეიმუშავეს სატარიფო პოლიტიკა და

შეთავაზეს ერთიანი ტარიფი ტვირთგამომგზავნებს. რის შედეგად ცენტრალურ აზიის და აზერბაიჯანის დანიშნულებით ანდა ცენტრალური აზიიდან ტვირთები თანდათან ტრანსკავკასიურ დერეფაში გადმოიტვირთა. 2021 წელთან შედარებით 2022 წელს ჯამურად საკონტეინერო გადაზიდვები 33 %-ით გაიზარდა. თუმცა, 2023 წლის მარტისთვის ამ დამატებითი ტრაფიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა ოპერაციული არაეფექტურობისა და დერეფნის გასწვრივ მაღალი ხარჯების გამო, განსაკუთრებით საზღვაო მარშრუტებზე ტვირთის გადასვლის გამო.

ზემოთ ჩამოთვლილი გეოპოლიტიკური მიმდინარე პროცესების მიუხედავად 2024 წელს კომპანიის მენეჯმენტმა შეძლო მიმდინარე პროექტების ტვირთბრუნვა შენარჩუნება შუა დერეფანზე.

ხელმძღვანელობა მაქსიმალურ ძალისხმევას ეწევა იმისათვის, რომ ტვირთი შეინარჩუნოს TRACECA-ის დერეფანში. ამასთან, შექმნას ერთიანი სატარიფო პოლიტიკა და გააუმჯობესოს გადაზიდვის პროცედურები. დანიშნულების ადგილამდე ტვირთის გადაზიდვის დროისა და ხარჯის შემცირების გათვალისწინებით უზრუნველყოს უსაფრთხო გადაზიდვა პარტნიორებთან ერთად.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ, 2024 წლის 29 სექტემბერი

დირექტორი გიორგი ჯინჯოლავა

შეთავაზეს ერთიანი ტარიფი ტვირთგამომგზავნებს. რის შედეგად ცენტრალურ აზიის და აზერბაიჯანის დანიშნულებით ანდა ცენტრალური აზიიდან ტვირთები თანდათან ტრანსკავკასიურ დერეფაში გადმოიტვირთა. 2021 წელთან შედარებით 2022 წელს ჯამურად საკონტეინერო გადაზიდვები 33 %-ით გაიზარდა. თუმცა, 2023 წლის მარტისთვის ამ დამატებითი ტრაფიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა ოპერაციული არაეფექტურობისა და დერეფნის გასწვრივ მაღალი ხარჯების გამო, განსაკუთრებით საზღვაო მარშრუტებზე ტვირთის გადასვლის გამო.

ზემოთ ჩამოთვლილი გეოპოლიტიკური მიმდინარე პროცესების მიუხედავად 2024 წელს კომპანიის მენეჯმენტმა შეძლო მიმდინარე პროექტების ტვირთბრუნვა შენარჩუნება შუა დერეფანზე.

ხელმძღვანელობა მაქსიმალურ ძალისხმევას ეწევა იმისათვის, რომ ტვირთი შეინარჩუნოს TRACECA-ის დერეფანში. ამასთან, შექმნას ერთიანი სატარიფო პოლიტიკა და გააუმჯობესოს გადაზიდვის პროცედურები. დანიშნულების ადგილამდე ტვირთის გადაზიდვის დროისა და ხარჯის შემცირების გათვალისწინებით უზრუნველყოს უსაფრთხო გადაზიდვა პარტნიორებთან ერთად.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ, 2025 წლის 29 სექტემბერი

დირექტორი გიორგი ჯინჯოლავა

